

ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირების შესახებ



2013 წლის 29 ნოემბერს, ვილნიუსში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირების ოფიციალურ ცერემონიაზე, დოკუმენტის პარაფირება მოახდინეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მათა ფანჯიკიძემ და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონმა, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის ნაწილში - საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ევროკომისარმა ვაჭრობის საკითხებში კარელ დე გუხტმა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, ასოცირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აპყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში (ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე (DCFTA) - 2011 წლის დეკემბერში). მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა 14 პლენარული სესია შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე, 6 რაუნდი - ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე და 100-მდე ვიდუო-კონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის თავებსა და DCFTA-ზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. ასოცირების შესახებ შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტი პარაფირების შემდეგ საჯაროა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. პარაფირებული ტექსტი ხელმოწერამდე კვლავ ექვემდებარება სამართლებრივ და ლინგვისტურ შესწორებას და შესაძლოა განიცადოს მცირე ტექნიკური ცვლილებები. მოცემული ტექსტი ამ ეტაპზე არ არის სამართლებრივად სავალდებულო და არ წარმოქმნის უფლებებსა და მოვალეობებს.